**სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა
და განათლების ცენტრი**

მარშალ გელოვანის გამზირი №32გ
0159 თბილისი, საქართველო
+995 32 2 11 20 23
info@eiec.gov.ge
eiec.gov.ge

12 თებერვალი 2024

N 01/1/251

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიას

ონის მუნიციპალიტეტის მერიას

ასლი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

ასლი: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

ასლი: შპს „საერთაშორისო ენერგო კორპორაციას“

გაცნობებთ, რომ 2024 წლის 6 თებერვალს, **შპს „საერთაშორისო ენერგო კორპორაციამ“ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარადგინა ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტში, 110 კვ. ძაბვის მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის განცხადება.** გზშ-ის ანგარიშის განცხადების შესახებ ინფორმაცია თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე - www.ei.gov.ge. **პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://ei.gov.ge/ka/info/8ce2019a-6cb9-41f1-a623-bf6755f048a8**

დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის განცხადებასთან და თანდართულ დოკუმენტაციასთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 10 აპრილის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N34 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელ-ფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს).

დამატებით გაცნობებთ, რომ აღნიშნული პროექტის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართება **2024 წლის 19 მარტს, 16:00 საათზე, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ურავის კულტურის სახლის შენობაში, 2024 წლის 20 მარტს, 11:00 საათზე, ონის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლის შენობაში (მის: კახაბერის ქ. N4).** გზშ ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად ასევე განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე.

,,საჯარო განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის №2-94 ბრძანების თანახმად, გზშ-ისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობაზე სკოპინგის ანგარიშისა და გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვას უნდა ესწრებოდეს საქმიანობის განმახორციელებელი ან/და კონსულტანტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს წარმომადგენლები.

გთხოვთ, უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება, როგორც **ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტების მერიის** საინფორმაციო დაფაზე, ოფიციალურ ვებ-გვერდსა და Facebook-ის გვერდზე, **აგრეთვე საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს (ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ურავი, ონის მუნიციპალიტეტი) ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე** (მაგ: ტრანსპორტის გაჩერება, სკოლა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სავაჭრო ცენტრი, ფოსტის ოფისი ან/და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილი) და განთავსების დამადასტურებელი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გამოგზავნა ფოტომასალის სახით.

დანართის სახით გიგზავნით ზემოაღნიშნული პროექტის გზშ ანგარიშის განცხადებას თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად და ინფორმაციას საჯარო განხილვის შესახებ. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: +995 322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

მოცულობიდან გამომდინარე პროექტის დოკუმენტაციას გიგზავნით ბმულის სახით - https://we.tl/t-8StbKGp2zl

დანართები:

- საჯარო განხილვის შესახებ განცხადება - 2 გვერდი

- თანდართული დოკუმენტები - 2 ფაილი

თამარ ალადაშვილი

ცენტრის დირექტორი

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი